

ქვეყნის სახელთა

1991
საგარეო
9
საკრძალი
№42 (10435)
ფანი 5 კაპ.

საგარეო უწყებანი საერთაშორისო-პოლიტიკური გაზეთი

საგარეო უწყებანი 1991 წლის 1 მარტიდან

დაღუპულთა ოჯახებს

გაზიარებთ თქვენს მწუხარებას მამულისათვის თავდადებული ახალგაზრდების პატივს უპატივებს, რამდენიმე დღის განმავლობაში, ჯანდასრულდა დაღუპვის გამო. ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს მათ. ზვიად გამსახურდია.

5 აპრილი, 1991 წელი.

სიცოცხლის ჰიმნად მიწვდება ზეცას

ყუარობით გადაწითლებულ მინდორს გრავალი და სეტყვა რომ გადაჭრავს, ისე წამოებარა ცხრა აპრილის ავბედითი გარეგანი თავისუფლებას მოწყურებულ ქართველობას. ათი ათასობით ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი სანთლებით ხელში შეავადრებდა ზეცას თავისი მრავალპირანთმენი სამშობლოს უღრუბლო ბედს, ნათელ მერმისს. მაგრამ სატანას როდი ეძინა. მან უდა-ნაშაულო ადამიანთა დასარბევად შეაგულიანა ადგილი ნიჩბებითა და მოწყვეტილი გაზეთით შეიარაღებული ვაზდლები. სიძულვილით აღრენილი დაეძგერნენ სამშობლოს მოყვარულ სულებს და ანგარიშმოუცემლად მიუღწერ-მოუღწერეს უღამაზესი ფიქრი და ოცნება.

დრო ვეღარასოდეს გაანადგობს ცხრა აპრილის მიერ დატოვებულ ტკივილსა და ტრილობას. საგარეოს ოდნავ გაატყუო ქალაქი, რომ დროებით მიუჩრებულ მოგონებათა ზღვაში დაღუპულთა დედებისა თუ შვილების, დებისა თუ შვილების ცრემლი ტალღებად აქოქროს.

ცხრა აპრილი ერის საყოველთაო ტკივილია, შეუზღოვებელი იარაღი, რომელიც ერთგვარი რომანტიკითაა არის შეფერილი. იგი ყოველი ჩვენგანის მეხსიერებაში ფოთქავს, როგორც სიგნალის, განგაშის ხმა, როგორც სიცოცხლის ბიძი, რომელმაც მომავალი გმირული შემართებისათვის უნდა შეაგულიანოს ქართველობა.

იმ ტრაგიკულ აპრილზე ფიქრისას ანაზღაურად გვახსენდება საქართველოს ეროვნული გმირის, სულგანათლებული მერაბ კოსტავას სტრიქონები: „...დაში მარტვენი არ მომიტარო ახტარად ამასხი ძალი თმენისა. უკვდავებისა შთამავსი წყარო, შემასხი ფრთები აღმაფრენისა“.

სწორედ ამ შინაგანი აღმწერენის, თავისუფლებისაკენ შიარალი აწყვი სულის სევდიან ლეგენდად შერჩება ჩვენს ისტორიას ცხრა აპრილის სისხლიანი მისტერია.

სამარადისო ხსოვნა, მამულისათვის დაცემული!

სიცოცხლე ჩვენი გაგულს ეკუთვნის

სამარადისო ჩვენი საერთო ტკივილია.

იმ დადგრილი ყოველი ქართველი სისხლი წმინდა და ამაღლებულია.

ჩხორწყურებულ მშრომლებზე ღრმად გულიტკივილით აღიქვამს ზუგდიდელი ქაბუკები; ქანთა რაფავას, რომან ბენდელიანს, შატა ყურყურას გმირული სიჭაბუკეობა.

გვწამს, წლები წავადნენ, თავისუფლებისა და მამულისათვის შეწირული სიცოცხლეები ზეცად ამაღლდებიან, თერთი მტრედით გაფრენილი მათი თავდადებული სულის უკვდავებას შთამომავლობა დაიმასხვრებს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მარადიულ ჭეშმარიტებას, რომ ქართველთა

ქალა ერთობაშია, რომ, როცა მტერი მამულს გვიჩივებს, სიცოცხლე ჩვენი მას გვუთავსებს.

როგორც სრულიად საქართველოში, ამ დღეებში, ჩხორწყურებულ აინთება სამარადისო დაღუპულ ზუგდიდელ ქაბუკთა სულებისათვის ხსოვნის სანთლები. გავჩერა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს სამარადისო თავდადებული ვაჟაკების სული ამაღლდებიან სულთა თაშა... სამარადისო-მიწა ქართული, მათი მოწამებრივი სისხლით მორწყული, თავისუფალი სამართავლობის განუყოფელი ნაწილი იქნება.

ვალერი გაბაშვილი, ჩხორწყურს რაიონის მშრომელთა სახელით—პრეზიტი, 1991 წელი, 5 აპრილი.

...აღდგომის წინა დღე ცივი, ცრიატი განთიადით დაიწყო ჩვენს ქალაქში. ნაცრისფერ ღრუბლებს მოფარებული ზღე

გუბაზის და ცოტენს გინი აღარ დაშრტილა ქართველობაში და ამის გამო მამულის მოკვდინებას ვერავინ შეძლებს.

შდერს გულმზიანი მამულიშვილების გამოსვლა ფოთიდან, ჩხორწყურულან, ოჩამჩირიდან, წალენჯიხიდან, აბაშიდან, თბილისიდან

თქვენთა სახელთა, ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა...

ნელი-ნელ იკრებდა ქალაქს, რათა დადისაგან მორღვეული ადამიანებისათვის სიცოცხლისა და რწმენის ნიშანი. დაებრუნებინა. სამარადისო დაცემულ ხამ ვაჟაკს ეთხოვებოდა ამ დღეს ზუგდიდი; ქანო რაფავას, შატა ყურყურას და რომან ბენდელიანს. ზღვა ხალხი მიაწყდა მათ მამის-ეულ ეხო-კარს, ძაძებით გადაქუფრულს, აუხსნელი, შიშნარევი გრძნობით აძაგრულს.

ხალდახინზე სამი უჭირვას. ეს ცხედარი ესვენა იმ დღეს ჩვენს ოდიშს, სრულიად საქართველოს. დაჩხილი, ნაიარევი საბეების ცქერა ფიქრის წამახული წვერით გახაზავდა იმ აზრს, რომ სამიშ, დაუნდობელ მტერთან ვართ შებმული. ქართულ მიწაზე მავალი ყოველი კაცის გული ვერა და ვეღარ ქცეულა დღემდე ღვთის ბინად. მასში მტრობით აღსილი ეშმაკ შემოგებებია ხოლმე და ამიტომაც ფიზიკურად უნდა ვიყოთ. მტარვალს მუხანათურად დაესერა ეს სახეები, მაგრამ მაინც უღამაზესი მიჭებაუკების იერიო ამაღლებულნი იწვნენ... და იყო ამ შემადრწუნებელ ფაქტში რაღაც ზეაწული და მისტიკური. ჩნდებოდა შესაძლებლობა იმისა, რომ დღეს აქ დადგრილი სანთლის ყოველი წვეთი და ცრემლის კურცხალი ხვალ და ზეგ ხსოვნის ყვავილება გაიფოთლებოდა ზეცის თავისზე. იმ ზეცისა, რომელსაც თავის საუფლოში უნდა მიეღოს სამი უმნიშვნელო სული.

...არ წყდება ნაქადი ქალაქის შთავარი მოედნისაკენ. მოდის მავანი ტუჩის კიდზე შეყინული შურისგებით, ზოგჯერ კიდევ დარდის ჭიოთ გამოფიტული, რაღაც მოლოდინის გრძნობით შემღვრებული. ბევრნიც მოაბიჯებდნენ შინაგანი ღირსებისათვის აღვიბენი, რომ

ამ პირქუშ, სევდით გასენილ ატმოსფეროში ბევრი, მთრობლვარე და ძარღვიანი სიტყვის თქმა შეიძლებოდა. მაგრამ იქვეა მხოლოდ ის აუცილებელი, რაც უნდა გაუღერებულიყო, რაც გულმტრემლიან ადამიანებს სულის გამოფოლადებულ ცეცხლად, იმედის სხივად უნდა შემატებოდა.

ქალაქის შთავარ მოედანზე გამართულ სამგლოვიარო მიტინგს, ხეროთო ტკივილით შენივთებული გულმტრის შინაგან ფარულ ფოთქვას კამერტონი ქალაქის პრეფექტის თამაზ შორშოლიანის შესავალმა სიტყვამ მოუძებნა. რაოდენ მძაფრი შინაგანი მუხტი ამოიტყურცნა თუნდაც ერთ ასეთ შტრიხში: მაცხოვრის გორაზე საფლავების გამქრელი ბიჭებისთვის ეროვნული გმირის წვერებს უთხოვიათ უფრო ფართო ტერიტორიის მოკავება იმთავითვე, გინც დღეს ავტომატით ხელში ებრძვის მომხდურ მტერს, მაგრამ ხვალ შესაძლოა აქ პიკოს საშუალომ საგანე.

ჩვეული რაინდული ღირსებით ლოცვასავით წრფელი სიტყვებით ანუგეშა აქ შეკრებილნი ხმაკანკალბულმა დიმა ჭიანჭმა, განსაცდელს პირისპირ შეჩებებული მამულისათვის თავგანწირვის ნერვი გაუხელა მიტინგის მონაწილეებს ვალტერ შურღაიამ, ნიკაბთან განასკვულ ცრემლში ამოგლებული სიტყვით გამოთხოვა დაღუპულ ვაჟაკებს გურამ მაჭავარიძე. ავდრისგან აქორჩილ ტალღას რომ მომდევნო მოხდევს, იმდგვარად მოჭარდა მიკროფონთან ტკივილი, სულში ჩახვეული ბოღმა, შურისგების უინი. არავინ ეძებს ლამაზ, ეფექტურ სიტყვას. ახლა ეს ნამდვილ მკრებლობად აღიქმება. ავდრისებული სულის რქვივიმად

საქართველოს სხვა ქალაქებიდან, ეს სიტყვები თითქოს ზემოთ, ცის სიღურტეში იღებს პირველ შინაგან ბიძგს, თვით მაცხოვრის ნებით იქნეს შინაგან იღუშალებას. აქ, ამ ეროვნულწინაშე შედუღებულ მგლოვიარე მასან მალალი ძაბვის დენივით დაუარაძარღვებში ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ გამოგზავნილმა სამძიმრის დეპეშამ. ეს სამძიმარი საოცარი მხნეობის მომნიჭებელიც გახლავთ და ერთხელ კიდევ შთაგვაგონებს ოდინდელ საქარულურ ცნებას ქართველთათვის „...მე, მამულო, გრძნობა შენს მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია, სანამ გვირმა შენთვის სული დალია, თქვა, სამშოა ბლო უპირველეს ყოვლისა“.

შებინდებისას ზღვა ხალხი მაცხოვრის გორაზე გაირინდა. იწყება მიცვალებულთათვის ქრისტიანული წესის აგების ამაღლებული რიტუალი. შემდეგ მხედრული პატივი მიავებს დაღუპულ ძმებს თანამებრძოლებმა. ავტომატის ქრით ამცენს ანგელოსთ საუფლოს საქართველოს ერთგულ შვილთა მარადისობაში გადასვლა.

და წამით იბილა ყველამ: მიცვალებულთასულები ზეცაში ამაღლდნენ და მარადიული სიჩუშის ბინადარი გახდნენ. მერე ამ შინაგანმა ხილვამ უფრო მიწიერი, მოკვდავთათვის ხელშესაბეობი კონტურები შეიძინა. ამ პირქუშ უშმა არემარემ, პირღია საფლავების სევდამ სისხლსავსე უმანკაოების ფერი გადაიკრა და აქ ამოსული ყოველი ადამიანი თავისუფლების იდეის ცხოველმყოფელ მაგისტრან შენივთა.

და აღდგომის წინა დღეს ეცრემლიანი მისტერია საქართველოს ცად ამაღლებას ჰგავდა. ვ. ცხონდია.

სრასლე სოფლად

წოფელ ოქტომბრის ცენტრში შენდება მოსახლეობის საყოფაცუნობო მომსახურების ობიექტი (შშენებელი ორგანიზაციის ზუგდიდის საკოლმურნიკობაში რისო ხამშენებელი ხამქუ, სადაც

შთავსდება საპროექტინტოქსაგეოლო, ფენსაცმლის შემკეთებელი საინჟინო. ობიექტი (სამუშაოთა მწარმოებელი ზ. ჭლარავა) უახლოეს დროში გადაეცემა საქსპლტატაციოდ.

წოფელ ცენტრში შენდებულს საცხოვრო. მოსახლეობის საყოფაცუნობო მომსახურების ობიექტი: ლევან ქირია, პიერ გეგეკორი, თემურ ნანავა.

ჩამოწერას მოითხოვს ნაკვიშულანში პირველდაწყებითი სკოლის ამორტინირებული ნაგებობა.

კვლევა სრულიად საქართველოში გასული წიგნით შინა პირად

ქვეყნის სათქმელს თავი მოაბა, როცა მთლიანად ემოციებს შევხვარ დატყვევებული. ცხრა

9 აპრილს დაღუპულთა სულ-ები თითქოს ზეციდან გვიმზერენ ამჟამინდელ საზღვრებს ში-

ლე ფასობს შენითაა. ჩვენი ქალაქი მუხლს იყრის მამულის თავისუფლებისათვის

ქართველთა თანმდები

ტ კ ი ვ ი ლ ი

დედაშიწის ზურგზე ალბათ იშვილია ერი, რომელიც ქართველებს გაეტოლება თავისი ტრადიციული ხედვებით, ძნელდღობის პერიოდებით, ამასთან თავისუფლები წყურვილით. ჩვენი წინაპარა ყანას თონინდა, თოფი კი იქვე პქონდა მიყუდებული. ქართველი დედა იყვანს არწვედა, უბეში კი ხანჯალი ქქონდა გადაბალული. ამ უღრევი სულის გამოძახილი იყო ცხრა აპრილის სისხლიანი გარიყრაფი. ეს იყო ქართველ ქალში დღემდე შემონახული გმირული გენის ყივილი. ამ ტრადიციულმა მოვლენამ შინაგანად შეკრა, შეაღებდა მთელი ქართველობა, ამაღლა, გაასპეტაკა სულიერად. ფიქრობ რა ყოველივე ამასზე, უნებურად იბადება შენში სურ-

ვილი წმინდა სანთლები დაუნთქ და ილოცო დაღუპულთა ლამაზი სულების ნოსახსენებლად. ასეთ დროს თავისით, მოღის შენთან პოეტის მითოლოგიურ სტრიქონებს: „უფლისციხესთან სისხლისფერა ყაყაროს წვეთი, არა დაღერილს—დასაღერელს ალბათ მადნა, ათავიფარი სხვა სამშობლო ამასზე მეტი, არ გამანია“...

შინდა მშვიდობა ვისურვო ჩემი ხალხისათვის, მაგრამ თუკი წინ კიდევ ბრძოლები გველის, თავისუფლებისაკენ მიმავალ ნარ-ეკლიან გზას ცხრა აპრილის შექტვ გაგვინაოცებს.

ნანა ხაშუაძე
მერაბ კოსტავას სახელობის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე.

ჩვენი დარდი და სიამაყე

აპრილის მოგონება—ეს არის ქრთმანეთში არქეული სიამაყე და ტკივილი, სულის ზეიმი და გაუქარველი სევდა. თბილისში, რუსთაველის გამზარზე გაჩნდა უწმინდესი კერა, წიწამეთა სისხლით განხანილი, რომელსაც მხოლოდ ფეხბურთით, სუფთა ხელებით და შეუხდალავი ფიქრით უნდა მიუახლოვდეს ყოველი ქართველი,

ქიდეზულ ქართველებს და გვამხნევებენ. წინ კიდევ გველის ძნელი, ჩვენივე სიმტკიცითა და ერთსულოვნებით გადასალახი დღეები. ცხრა აპრილი სიმბოლური თარიღია ერისთვის. ეს არის სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღე. ეს არის მდგომარეობა სულითა, რომელმაც ამოაოქმეინა დიდ ვაჟას: „შენ გენაცვალე სიკვდილო, სიცოცხ-

დაცემულთა ხსოვნის წინაშე. იცოდეს ყველამ, რომ ოდიშის ძირძველ მიწაზე ამჟამად დააბიჭებენ ლომგულა ვაჟაკები, რომელთა ძარღვებში სამშობლოსათვის თავგანწირვის გენი ცოცხლობს. დედაშიწაზე არ არსებობს ძალა, თავისუფლებისაკენ ჩვენი სწრაფის შეჩერება რომ შეძლოს. მასხალა ნარმანია, ფილოლოგი.

მე და შენი აპრილი

საქართველს სხეულს ნელა იშუშებდა აპრილი — გაზაფხულს უნაზესი დედოფალი-ფერია. განა მისი მოშუშება იყო ასე ადვილი? — უღამაზეს თეთრ კახაზე სისხლის წვეთი ერიო. წითლად იყო დატბორილი რუსთაველის პარასპექტი და ხდიოდათ კვირტებს ცრემლი უმწიკველი და მართალი, ფეხზე იდგა საქართველო, უჩვეულოდ უმეკრთალი დადიოდა მდუმარება — ცრემლისაგან ნათალი. კანკალებდნენ ვარდები და თრთოდნენ ვერცხის ფოთლები, მოსულიყო განთიადი და მამალიც ყოიდა, გლოვის ზარებს რეკდნენ ყველგან ასე თავგამოდებით და რუსთაველის პარასპექტის წინ საქართველო ტიროდა. რა აპრილი მოგვივლინე, რა დღე გასაკვირვები, მიეც ქართველს მოთმინება და სიმტკიცე ნამდვილი, ღმერთო, მიუღამ აგვაშორე სისხლიანი კვირები, მხოლოდ ამას გავადრებთ მე და შენი აპრილი.

1989 წლის „გაზაფხულზე კიდევ ერთხელ აპრილია ბოროტი სული. ქაშუეთის წმინდა გიორგიმაც ვერ დაიფარა თავისუფლებისათვის მლოცველი ჩვენი დედეები, უმანყო მოშინშილე ანგელოზები. ბოროტმა ძალამ ორლებული ნიჩბები, ხელკეტები, ქიმიური იარაღი გამოიყენა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველების დასარბევად. უგულვო ქალაქები მიუსია სანთლებით, ხატებით, ჭვრებით და ყვავილებით ხელდამშვენებულ მოცეკვავეებსა და

9 აპრილი... რამოდენა ტკივილია ამ ერთ სიტყვაში. ტკივილი... და კიდევ იმედი, ბედნიერი მომავლის მოლოდინი, ალგეთს ლეკვების დაზარდის იმედი და ის იმედი ლაშარის გორაზე შედგომა რომ ჰქვია.

მათი არს სასუფავალი ცათა

1989 წლის „გაზაფხულზე კიდევ ერთხელ აპრილია ბოროტი სული. ქაშუეთის წმინდა გიორგიმაც ვერ დაიფარა თავისუფლებისათვის მლოცველი ჩვენი დედეები, უმანყო მოშინშილე ანგელოზები. ბოროტმა ძალამ ორლებული ნიჩბები, ხელკეტები, ქიმიური იარაღი გამოიყენა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველების დასარბევად. უგულვო ქალაქები მიუსია სანთლებით, ხატებით, ჭვრებით და ყვავილებით ხელდამშვენებულ მოცეკვავეებსა და

მომდრებებს, რომლებმაც უწყოდნენ რაზეც მიდიოდნენ ისინი, მიდიოდნენ რწმენით, იმედიით თავისუფლებისაკენ... სტკივა ამერ-იმერს 9 აპრილი. და ეროვნული ტკივილი არც არასოდეს ყურღება თურმე. ასე, რომ არ იყოს არც პაატა გვეხსომებოდა, არც ქეთევანი, არც მძა ხერხეულიძე და 1921 წლის თებერვალში იჭორსა და ტახახმელასთან სამშოლოს თავისუფლებისათვის დაცემულ გმირთა ხსოვნასაც მივიწყების ნაგლი გადაუფარებოდა. ეს არ

სჩვევია ქართველი. ამან მოიყვანა საქართველო დღემდე. აპრილი გვეხსომება... გაგლახ რომ იმ ღამეს შეწირულნი ვედარსოდეს შეიგარძნობენ ვარდობისთვის ეშხსა და სურნელს. „წინ რწმენით სავალი ძნელი გზაწერილია, გზა იგი უმწიკველი სისხლით მორწყულია... ილიას ზადიშნი ამ გზაზე ფელიანს... ჩვენთან არს უფალი“. მარიატა შამატაძა, ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლე.

ამ სევდიან სტრიქონებს 1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანი კვირის“ გამოთენისას დაღუპულთა ნათელ ხსოვნას გუძღვნი. ჩვენთვის, ქართველებისთვის თავზე დატრიალებული ტრადიციიდან განვლალი წლები მრავლისმთქმელია.

ბული მიტინგის დარბევს თობაზე გაუქმებულია გამოძიება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამდებობის

არღაპიყუაბა მათ, შინა

საქართველოს მოგავალს შეუფირნენ

1989 წლის 24 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის დადგენილებით დაგმობილ იქნა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციის მოწაილეთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება, საქაროდ ჩათვალეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ პირთა გადაცემა, ვისაც ბრალი მიუძღვით ადამიანთა დაღუპვასა და მათთვის სხეულის უმშიმისე კატეგორიის დაზიანების მიყენებაში. ეს იყო ძირითადად საქავშირო უზენაესი საკანონმდებლო ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილება და პოლიტიკური განჩინიცი.

პირთ, რომლებიც მოწაილეთა დენ აქციაში, არ შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინებინათ მისი ესოდენ მძიმე შედეგე. შეგახსენებთ, რომ დაიღუპა 19 კაცი, ხოლო რაც შეეეება საშხედროების მიერ მომწაილავი ნევიტირების ზმარებას და ძალადობას ადამიანთა მიმართ, რომელსაც იტყობინებოდნენ ინფორმაციის საშუალებებით, სინამდვილეს მოკლებულია...“ დიდება შენდა, უფალო, ჭერ ჩვენ, შემდეგ მთელ მსოფლიოს როგორ აყრიან ნაცარს თვალბეში.

ხანძარს, გვბოცვენ და მერე სარკაზმის ბაგეთი „გითანაგრძნობენ“. გეოცილი კი მოხდა, მაგრამ დამნაშავე არავინ არისო. 9 აპრილს საქართველოში დაღერილ ზვარაკთა სისხლზე იმედან ყყაჩოები გიგვიგებენ. ის „სისხლიანი კვირა“ — საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპს უკავშირდება.

მოდერნიზაციისთან ერთად ამ ძნელად სავალ გზაზე შეიღეროვნებათშორისო ურთიერთობის საბოლოო გარკვევისა და მოწვესრიგების საქმოდ რთული, მაგრამ კეთილად და სავსებით რეალურად დასავიგვინებელი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი.

მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს ეს არ უნდა დაგუშვათ. ამის უფლებას არცერთ ქართველს არა გვაქვს.

მაგრამ... გადის დრო. დღე დღეს მისდევს, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს. 1991 წელი, 7 მარტი. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის ნიკოლოზ ტრუბინის ცნობა ახალი ამბების სატელევიზიო სამსახურის არხებიდან: „...სისხლის სამართლის საქმე, რომელიც წარმოებაში ყო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ფაქტის გამო, სამხედროების მიერ არასანქცირე-

თავის დროზე ხომ თავისი პირით აღიარეს ყოველივე? განა შეიძლება უარყოფა იმისა, რომ იმ დროს დაზნამულ-მოწამლულნი დღემდე სოცეტიან? 9 აპრილს დემონსტრირებული პიესის რეჟისორ-დამდგმელები რომ არ დაისჯებოდნენ, ეს თავიდანვე ნათელი იყო. იმიტომ რომ, დენთის სუნთან კრემლულ ბოსებს ჭირავთ სძულთ თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველო. ამიტომაც მთელი სიგარტე ხვანჯრე ალკვებენ სისხლიანი ტერორის

რომ ეროვნული ბრძოლის ავგირთებული ტალღა, რომელსაც სათავე ახალგაზრობის პატრიოტულმა თვითგვება-შემართებამ დაუდო, თანდათან ძლიერდება, მოწიფულობაში შედის და თითოეული ჩვენგანისთვის დიდი ხნის ნანატრი სასუფავარი მიწისკენ მიემართება.

ეს კი ყოველდღიურ დაძაბულ და მოთმინებით შრომას მოითხოვს. ნურც სხვისი იმედი გვექნება და ნურც იმას შევებენებოთ გინმეს, გინდა თუ არა მოგვიწონე და დავაფასეო. ჩვენ უნდა ჩვენი გშვათ მყოობადი, ერთად გავარდვიოთ იმ ხალ კლდეთა სისქე, რომელიც ხელს გვიშლის ნორმალური ცხოვრების მშენებლობაში.

ამ წელულს უნდა ვუმკურონალოთ. ჩემი დრმა რწმენით, ეროვნული ბრძოლის რაციონალური მარცვალი ადამიანის უფლებების დასაცავად ენერგიული ლაშქრობაა, ხოლო ღვთითმონიკებული სიცოცხლის ხელყურფა უფიდეცი დანაშაულია ერის, სარწმუნოების, ქვეყნის წინაშე. მოძალადეთა ხელით 9 აპრილს დაღუპულთა ნათელმა ხსოვნამ უნდა შეთავაზონოს, რომ „ჩვენ“ ხელით ჩადენილი ბოროტება იმ „სხვისი“ ხელით გამოყენებულ ხელმარბზე უფრო დიდი, მიუტყვევებელი ცოდვია: დედა-სამშობლოს სჭარბება ღრმად განსწავლული, შრომის მოყვარე, ზნეობრივად სრულყოფილი, სულიერად და ფიზიკურად განსალი იდამიანები. ამის გარეშე ფუფია და ამონებისმიერი წადილი და მისწრაფება. ამას გვასწავლის, შთავაზონებს და აქეთკენ მოგვიწოდებს 1989 წლის 9 აპრილს სისხლიანი კვირა. სამართლი სასუფაველი და არდავიწყება, ვინც საქართველოს მომავალს შეიქრა თავი მამას რმბაძა.

ამის წინამდგრები დღეს აშკარაა, თუ თვითონ ჩვენ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, არ შევადრებთ მისი წინსვლა და სასურველი მიმართულებით განვითარება. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ეროვნული მოწინის შექნასა და

ამ მიწის ოპტიმალური გზების მოძებნაში, გაბედული ნაბიჭებით სიარულსა და ეროვნული ძალების ურთიერთკონსენსუსშია გამოსავალი. რადგან დაქსაქსულობისა და განცალკევებულობის ვითარებაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ბევრს დაკარგვს და შესაძლია კრისასულ



===== ერთი პუბლიკაციის გამო =====

მხარდაჭერას ველოდით, მაგრამ...

მკითხველთა და დანტერესებულ პირთა დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა კოვია გაზეთ „ოდიშის“ 1990 წლის 15 ოქტომბრის და გაზეთ „ლელოს“ 1 დეკემბრის ნომერებში გამოქვეყნებულმა წერილმა „მეგრული ჯიშის ცენი შევლას ითხოვს“, ცენსაშენის გახსნას, თითქოს, არაფერ და არაფერი უნდა დადგომოდა წინ...

ერასოვის ამ მეტად საშველიშვილო საქმის აღორძინების მხარდასაჭერად საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა, ცენსაშენის ფედერაციამ და სპორტსაზოგადოებმა „შეგარდენის“ რესპუბლიკურმა საბჭომ თავიანთი მხრიდან გამოხატეს ფონდები საშენი მასალის, სხვადასხვა სახის ტექნიკისა და ცენსაშენის საყვების შესაძენად. ასე, რომ სრულიად ახსურდებოდა შიში იმის გამო თითქოს 25 მეგრული ჯიშის ცენი, რომლებსაც ტყის ზოლში და ხეჩქნარებში ეწებებოდა საოკრებო, სოფელს გაუნადგურებს ბალახებს და ამით ერგებულებს ხელი შეეშლებოდა მეცხოველეობას განვითარებაში.

მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა სახალხო ფრონტის წევრების ტერორული ქურსულა და ომიოტ კანტურის ხელმოწერით გაზეთ „ოდიშის“ 23 მარტის ნომერში გამოქვეყნებულმა

წერილმა „საუცილებელია განმარტება“, რომლის ავტორები პროტესტ-სტუდენტები ერგეტის ტერიტორიაზე მერაბ კოსტავას საბუნების მეგრული ჯიშის ცენსაშენის გახსნის იდეას, და ეს იმ შემთხვევაში, როცა ზუგდიდის რაიონისა თუ სოფლის ხელმძღვანელობის, ინტელიგენციის, ფართო საზოგადოების მხარდაჭერით საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი.

ერგეტის ტერიტორიაზე ცენსაშენის შექმნის თაობაზე საკითხი პირველად განხილულ იქნა 1990 წლის 14 დეკემბერს ყოფილ რაიადმსაკომში, სადაც სხვე ბთან ერთად ესწრებოდნენ სოფელ ერგეტის თავიანთი ს. ჯოჯუა და რ. აბულაძე, რასაც პრესაც გამოეხმაურა წერალოთ „გვექმნება ცენსაშენი ქაბანა“. შემდეგ კი ამა წლის 18 თებერვალს ხელმოწერულ თვით სოფელში გაიმართა ფართო სჯაბაბი ცენსაშენის გახსნის საკითხობოროტო საკითხაბზე, სოფლის მეცხოვრებთა ის ნაწილი, ვანც ვერ მოახერხა დასწრება შეკრებაზე. ცალი იქნა ინფორმირებულნი და არაფერ იყო ცენსაშენის გახსნის წინააღმდეგე ამის შემდეგ გაფორმდა შსსაბაბისი ოქმა და მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც გამოქვეყნდა „ოდიშის“ ფურცლებზე.

დადგენილება გაეგზავნათ ავრეთვე ზუგდიდის პრეფექტსა და შესაბამის ორგანიზაციებს. ჩვენ ექვი არ გვებარებოდა რომ ამ საშველიშვილო საქმის მოგვარებაში ყველაზე მეტად სახალხო ფრონტისაგან ვიგარძობოდით ქმედით თანადგომას, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. სახალხო ფრონტელები აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგენი.

გვიჭრობთ, ცენსაშენის გახსნის მოწინააღმდეგე ავტორებს ტ. ქურსულასა და ო. კანტურის პირალი ინტერესები უფრო ამოძრავებთ, ვიდრე ერგეტული. ბატონი ო. კანტურია ვერ ერკვევა ცენსაშენის ამბებში და უშკობესია უფრო პრინციპულად მოკალოს ხელი იმ დიდ საქმეს, რომლის შტაბის უფროსიც თავად ბრძანდება. შავი ზღვა, მისი სანაპირო ზოლის ფლორა და ფაუნა უთუოდ საჭიროებს მეტ ყურადღებასა და ზრუნვას. ჩვენ კი, ცენსაშენის გახსნის ინიციატორები, გვერდით დავიდგებით ყოველგვარი ერგეტული საქმის განსორციელებაში.

გოგრა შვიძია,

სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ სპორტსკოლის დირექტორი, ცენსაშენის გახსნის ინიციატორი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატაგორიის მსახვი.

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების აღმწახაბ „ენგურის“ პირველი ნომერი.

პოეზიის და პროზის განყოფილება იხსნება ბატონ ზვიად გამსახურდიას ლექსით „დე,

კი მიიღინება“ ბექდვა, რამდენიმე მოთრობითაა წარმოდგენილი ვეა ხუბუხა, ახალი თარგმანებითაა წარმოდგენილი რენე კალანდო, ზაზა ჭილაძე და აპოლონ კლონი.

რუბრიკებით: „ქართული კულ-

ტურა ბერულავა, ბათუ დანილია (რედაქტორის მოადგილე), ვაჟა ერისილო, ზურ მთლანია (საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების პასუხისმარბელი მდივნის მოადგილე), გურ ოტობაია, ვალერიან სალიანი. ელიზბარ უბილავა, ჭემალ ქარია (საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი), ოთარ შალამბერიძე, შადიმან შამანძე, მურმან ჭაგუბურია, გიორგი ხუხაშვილი, რაულ ჩილაჩავა.

„ენგური“ გამოვა სამ ოვეში ერთხელ. მიმდინარე წელს აღმანახი გაიყიდება „სოიუსწერატის“ ჭინურებში, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ გამოცხადდება ხელმოწერა.

აღმანახს ლიტერატურად გახდევს ლიტერატურის დარგში ერგეტულ კონცეფციათა შემუშავებაზე ზრუნვა, ეს კი თავისთავად მიგვანიშნებს იმაზეც, რომ მკითხველი მის ფურცლებზე სისტემატურად ეხილავს ერგეტული სულ ისკვეთებით გამსჭვალულ რომანებს, მოთხრობებსა და ლექსებს. ახვევ თითქმის ყველა ნომერში დაეთმობა ადგილი როგორც ქველი, ისე თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვემელოვან საკითხებს, ქართველ და მსოფლიო მასშტაბით ცნობილ მწერალთა, მეცნიერთა წერილებსა თუ ესეებს კულტუროლოგიურ პრობლემებზე. „ენგური“ ფართო ადგილს დაუთმობს ზუგდიდელი ავტორების შემოქმედებას, ფელოლოგიური და ესთეტიკური აზროვნების მნიშველოვან

„ენგური“ № 1

ელვარებდეს ივერთა ცაზე... აღმანახის სარედაქციო კოლეგია თავისი მისია აკაცის სიტყვებით გამოხატა: „ინგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ჭვავალ!“.

აღმანახის პირველთქმაში საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბატონი ხუბა ბერულავა გამოკვეთილად აღნიშნავს, რომ „ენგურის“ დაბადებას წინ უძღოდა საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების—ქართული კულტურის მძლავრი კერის შექმნა. იგი ზუგდიდის რაიონთან ერთად თანაბრად ეკუთვნის სამეგრელოსა და სვანეთის ყველა რაიონს, უფრო ზუსტად, სრულიად საქართველოს“.

ნომერში დაბეჭდილია მუხრან შაქვარიანის, მორის ფოცხიშვილის, ლამზირა ფირცხალავას, ემზარ კვიციანიშვილის, ქარჯი ფხოველის, თეიმურაზ ჭანგულაშვილის, რევაზ დანილიას, ანტონ არნაიას, ჭილ ფირცხალავას ლექსები. დიფუო მურმან ჭაგუბურისა და რამანის „შემოქმედების

ტურის მოღვაწენი“, „მეცნიერება“, „მწერლის უბის წიგნაკიდან“, „გახსენება“, „მწერლის არქივიდან“, „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება“, „საქართველო უცხოელი მოგზაურის თვლით“, მკითხველი გაეცნობა ნინო ჭაჭაიას, ზურაბ კუბალაიშვილის, ნათია კვიციანის, იოსებ კვიციანის, აკაკი ვაწერელიას, ელიზბარ უბილავას, გენო კალანდიას, ვიქტორ გაბეცკირიას, არქანჯელო ლამბერტის წერილებს, ჩანაწერებს, მოგონებებს და აპოლონ ცანავას მიერ მოწოდებულ მეგრული პოეზიის ნიმუშებს.


რუბრიკით „ვერისნაჟი“—დაბეჭდილია წერილი „ზაზი ჭადოსნური ჯიშია“, რომელშიც მოცემულია ზუგდიდელი ფერმწერის ჭანი ხუბუტიას შემოქმედების ზოგადი ანალიზი. სატირისა და იუმორის რუბრიკაში წარმოდგენილია გახა გებიას (ნომადი ბართაია) „პაროდები მუხრან შაქვარიანის ლექსებზე“.

„ენგურის“ მთავარი რედაქტორია ნომადი ბართაია. ხოლო სარედაქციო კოლეგიის წევრებია:

სეზონის წინ

ჩხოროღმა აგრანომმა უორა ფიფია, როცა სამი წლის წინ შრომის არენდული წესით მ შექტარი დაბალმოსავლიანი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა, შემოი-

შექტარიც შემოიფრთხეს და დღეს 7 შექტარზე აწარმოებენ კრეფას. შეარენდებმა საქეტარო მოსავლიანობა 10 ტონამდე აიყვანეს. სეზონისათვის მზადება ბრავა.



კრია რვა პენსიონერი და შერედა პლანტაციების დამუშავებას. სერიოზული სამუშაოები იყო ნა სატარებელი. არ დაიწარეს, შეარენდებმა; ეკალ-ბარდისაგან ვაწმინდეს ფართობები, შეუქმნეს მცენარეს განვითარების ხელსაქრელი ბიოლოგიური პირობები და შედეგად არ დააყოვნა, პლანტაციებმა უხვი მოსავალი მისცა შეარენდებს. წლობით იმატა ნედლეულის რაოდენობამ. შემდეგ მათ მ

დაში დამთავრებულთა. აგროწესების დაცვით სრულყოფილად ჩატარებულთა ხაჭირო ღონისძიებები. დამთავრდა გახსვლა. სანაპირო-საგაზაფხულო სამუშაოები მაღალხარისხიანად ჩატარეს გრიშა ფიფიამ, ბედიშა შარდავამ, ნელი ხაბურანიამ და სხვებმა. სურბათში: შარტხიდან შეარენდებ—აგრონომი ქორა ფიფია ბრიგადის წევრებთან. ბა. ყუყუნიას ფოტო.

პრობლემებს. „ენგური“ შეეცდებოდა, ფართოდ გაეხადებოდა აკადემიკოსთა, ავტორთა პროფესიული ოსტატობით დაუპირისპირდეს დიდიტანტიზმს, რომელიც კარგს არაფერს უქადის ჩვენი ერის სულიერ ყოფას. ამა ანაზი ეცდება მის ფურცლებზე

გამოქვეყნდენ მასალები ხელოვნების ისტორიის, თეატრმცოდნეობის, მუსიკისმცოდნეობის, კინომცოდნეობის დარგებიდან. ნუგზარ გულგორდავა, საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების კონსულტანტი.

ნორჩ მამურბელთა მხსახარად

პეტილად დაგადაბოდათ!

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქალაქის პატარებს აუხდათ ნაოცნებარი—განათლებლის მუშაეთა პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა ახალგაზრდულ კლუბთან (ხელმძღვანელი ქ-ნი ინეზა ბაძალუა) დაარსდა თოჯინების თეატრი, არაერთხელ გახარა ნორჩი მამურბელები თეატრმა. თავდამირველად მათ მამურბელებს შესთავაზეს პირველი სპექტაკლი „ზარმაცი კიკო“, შემდეგ შემოქმედებითი კოლეტივის მიერ განსორციელებული იქნა არაერთი დადგმა: „ზეიმი ტყეში“, „ბატის ქუჩი“, „ნაბოლარა“, „სამი გოჭი“. თეატრი ძირითადად შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალგაზრდა მსახიობებით არის დაკომპლექტებული. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კლუბთან ჩამოყალიბდა საბავშვო თეატრი „აია“. თეატრში გაერთიანდნენ ხელოვნების მოყვარული ნორჩი მსახიობები. მათ უკვე მქონდათ პირველი პრემიერა. მამურბელებთა სამსჯავროზე გამ-

ოიტანეს ანდერსენის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „თოვლის დედოფალი ანუ ბავშვებს მარტოობის ეშინიათ“. თეატრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი ახალგაზრდა არქიტექტორი ნაია დადიანი. მიმდინარე წელს კავშირთა შორისი ფეთქებულ შემდეგობით რესპუბლიკური სახსლის თეატრალური განყოფილების რეკომენდაციით საქართველოს განათლების, მეცნიერების და სტრუქტურა დამოუკიდებელი კავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის დადგენილებით ქ. ზუგდიდის ბავშვთა და მოზარდთა კლუბის თოჯინების თეატრმა მიიღო სახალხო თეატრის წოდება. ამ წარმატებას ვულოცავთ თეატრის კოლექტივს. ლამაზი და საინტერესო სპექტაკლებით მათ კვლავ გაეხარებინოთ ნორჩი მამურბელები. ნ. ფირცხალავა, ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილების ინსპექტორი მეთოდისტი.

